ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6634682

ნომერი: AR1983360

თარიღი : 09.08.2023

გაცემის თარიღი : 25.08.2023

გაცნობის თარიღი : 25.08.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, სტრაბონის ქუჩა, N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1983360 (09/08/2023) განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 19/06/2023 წლის № 6509577 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტთან დაკავშირებით და მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის - კომერციული და საცხოვრებელი (სსზ-ს არეალში საცხოვრებელი ფუნქცია არაუმეტეს 25%-ისა) ნაცვლად, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაფიქსირებას

პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით წარმოადგენს ზოგად საზოგადოებრივ საქმიან ზონას და ზოგად საცხოვრებელ ზონას. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენისას მინიჭებულია სსზ არეალისთვის სსზ-1 ხოლო, სზ არეალისთვის სზ-6.

ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 24/07/2023 წლის დ16.01232052 დასკვნის და 24/07/2023 წლის :ბ01. 01232056 ბრძანების შესაბამისად:
ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებული საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)-ის გავრცელების არეალის გაბარიტული ზომები (ფართობი, სიღრმე) ვერ აკმაყოფილებს აღნიშნული ფუნქციური ზონისთვის დადგენილი პარამეტრების 3/4-ს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებულ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მუხლი 24–ის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ვერ დააკმაყოფილებს თქვენს AR1983360 (09/08/2023) განცხადებას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.